ლენტეხი news

№1. თებერვალი, 2024 წელი.

გამოდის თვეში ერთხელ • ვრცელდება უფასოდ

150 000-ზე მეტ პენსიონერს სესხის პროცენტი შეუმცირდება



ეს გადაწყვეტილება მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, ნათია თურნავას და „ლიბერთი ბანკის“ გენერალურ დირექტორს, ბექა გოგიჩაიშვილს შეხვდა.

ამ გადაწყვეტილებით, 150 000-ზე მეტ პენსიონერს, რომლებმაც სესხი აიღეს 2023 წლამდე, სესხის პროცენტი შეუმცირდებათ და გაუტოლდება იმ პროცენტს, რომელიც დაწესებულია 2023 წლიდან. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აღსრულების ნაწილსა და კონკრეტულ დეტალებზე „ლიბერთი ბანკი“ ეროვნულ ბანკთან ერთად გააგრძელებს მუშაობას. საკითხის განხილვისას მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია, დროულად დაიწყოს შემდეგი ეტაპი და პენსიონერებმა განახლებული პირობებით შეძლონ სარგებლობა.

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში პრიორიტეტული და საქირო პროექტების განხორციელება აქტიურად გაგრძელდება

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის, პაპუნა მარგველიძისა და მაჟორიტარი დეპუტატის, გოჩა ენუქიძის ხელმძღვანელობით სამინისტროების რეგიონული სამსახურების წარმომადგენლებთან სამუშაო თათბირი გაიმართა. შეხვედრას სამინისტროების რეგიონული სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, სახლემწიფო რწმუნებულის მოადგილეები, ქრისტინა კობახიძე, ალუდა თუთისანი, ბერდია ჩანქსელიანი ესწრებოდნენ.

მიმდინარე წელს გაფართოებული თათბირის პირველი სხდომა შედგა, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა გასული წელი შეაჯამეს და სამომავლო გეგმებზე დეტალურად ისაუბრეს.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში გასულ 2023 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის მიზნით, სხვადასხვა ფონდებიდან განხორციელდა - 83 პროექტი და ჯამში დაიგო 103 კმ-მდე ასფალტის საფარი.

პროგრამის „განახლებული რეგიონების" ფარგლებში რეგიონის მასშტაბით მოეწყო 4 სკვერი.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, რეგიონში არსებული 68 სკოლიდან 2023-2025 წლებში დაგეგმილია და მიმდინარეობს 13 საჯარო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზეც ჯამში დაიხარჯება 20 000 000 ლარი.

საბავშვო ბაღების სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების 4 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა - ღირებულებით 9 048 230 ლარი და 4 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია - ღირებულებით - 11 267 000 ლარი.

მიმდინარე წელს კვლავ აქტიურად გაგრძელდება პრიორიტეტული და საჭირო პროექტების მშენებლობა, რისთვისაც პირველი ეტაპისათვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 21 მილიონი ლარი გამოიყო, რომლის ფარგლებშიც 95 ობიექტზე განხორცელდება სამუშაოები.

„ბიატლონ სვანეთი 2024“-ის ჩატარება კურორტ მუაშის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანი დასაწყისია

პირველად ქვემო სვანეთში, კურორტ მუაშში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ კურორტების განვითარების სააგენტოს, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, სამოყვარულო შეჯიბრი ბიატლონში - „ბიატლონ სვანეთი 2024“ გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში მოთხილამურეები ერთმანეთს თხილამურებით რბოლასა და შაშხანის მიზანში სროლაში შეეჯიბრნენ, რადგან ბიატლონი სპორტის სწორედ ამ ორ სახეობას აერთიანებს. ტურნირში მონაწილეობა მიიღო ვაჟებისა და გოგონების ხუთ სხვადასხვა ასაკობრივ გუნდად დაკომპლექტებულმა 34-მა მოყვარულმა სპორტსმენმა. გამოვლინდნენ როგორც ოქროს, ისე - ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნები, რომლებსაც ტურნირის სპონსორებისგან ფულადი პრიზები, საწვავი, კონფერენციაზე - „სპორტული მედიცინა, ინოვაციები, ხელოვნური ინტელექტი“ უფასო რეგისტრაცია, კურორტებზე განთავსება, სასაჩუქრე ვაუჩერები და სხვა მრავალი პრიზი გადაეცათ.

„კურორტი მუაში გამორჩეულია თავისი უნიკალური წყლებითა და ულამაზესი ბუნებით. მას წლების განმავლობაში დაკარგული ჰქონდა თავისი ძველი იერსახე, რადგან ინფრასტრუქტურა იყო სრულად განადგურებული. დღეს ისტორიული მნიშვნელობის დღეა ლენტეხისთვის, იწყება სწორედ კურორტ მუაშის განვითარების გეგმაზე მუშაობა. კურორტის განვითარება ხელს შეუწყობს ადგილობრივებისა და მთლიანად მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ერთნაირად მიმზიდველი იქნება როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, ისე ტურისტებისთვის“ - აღნიშნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა, გია ონიანმა.

„კურორტების განვითარების საგენტოს მიზანი კურორტების განვითარებასთან ერთად, მასობრივი სპორტის და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობაა. „ბიატლონ სვანეთი 2024“-ის ჩატარება არის როგორც კურორტ მუაშის განვითარებისთვის და პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანი დასაწყისი, ისე ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოტივაციისა და წახალისების კარგი შესაძლებლობა. სააგენტო მომავალშიც იქნება მსგავსი ღონისძიებების აქტიური მხარდამჭერი“ - აღნიშნა კურორტების განვითარების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერმა, ნატალია დოლიძემ.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ „ბიატლონის“ ეროვნული ფედერაცია, სსიპ „კურორტების განვითარების სააგენტო“, შპს მთის ტრასების სააგენტო (MTA), „გალფი“, „სპორტული მედიცინისა და მეცნიერების აკადემია“, „მაგელანი", „XTREME", „MPLUS“, „დეილი ქონვინიენს სთორ " , „შ.პ.ს ჰაიდრო ინვესტ ჯიეი", „შ.პ.ს იუნაითიდ ფაუერ ენერჯი“.

რედაქციისგან

გაზეთი „ლენტეხიnews"- ჩვენი საჩუქარი ლენტეხელებს!

ძვირფასო ლენტეხელებო, თქვენს წინაშეა ახალი გაზეთი „ლენტეხიnews", რომელსაც კომპანია „ქიმერიონი“ გამოსცემს. გაზეთი ჯერჯერობით თვეში ერთხელ გამოვა და და უფასოდ მიიღებთ.

ჩვენთვის დიდი პასუხისმგებლობაა ლენტეხის მუნიციპალიტეტის შესაბამის ტენდერში გამარჯვება და იმ უფლების მოპოვება, რომ სხვადასხვა საინტერესო სტატიებთან ერთად, მოგაწოდოთ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გესახებ საინფორმაციო მასალები, გაგაცნოთ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა.

ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენ, მკითხველებმა იაქტიუროთ და მოგვწეროთ თქვენი მოსაზრებები, წინადადებები, რა სახის ინფორმაციის მიღება გაინტერესებთ, რომ კიდევ უფრო დავახლოვდეთ და ვითანამშრომლოთ.

თქვენი ერთგულების დიდი იმედი გვაქვს!

ნატო გუბელაძე

გაზეთ „ლენტეხიnews“-ის
მთავარი რედაქტორი

სოფელ წანაშში მდინარე ხელედურის გაწმენდა-გასწორხაზოვნების სამუშაოები მიმდინარეობს

მიმდინარე პროექტი მოსახლეობის დაცვის მიზნით საგზაო დეპარტამენტის მიერ ხორციელდება. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 410, 000 ლარს შეადგენს.

სამუშაოები მონიტორინგის მიზნით, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ, ბერდია ჩანქსელიანმა, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ზვიად ლობჟანიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი გაზდელიანმა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელმა, დავით ჭეიშვილმა მოინახულეს.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო და 2024 წლის აპრილში დასრულდება.

უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებსა და მარტოხელებს საშეშე მასალა გადაეცათ

ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებსა და მარტოხელებს მუნიციპალიტეტის მერის, გია ონიანის ინიციატივითა და მერიის ფინანსური მხარდაჭერით საშეშე მასალა გადაეცათ.

საშეშე მერქნის გადაცემის პროცესს მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გიორგი გულბანი ადგილზე გაეცნენ.

შეშით უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის ეტაპობრივად გაგრძელდება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავება დაიწყო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა იწყებს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვალი, N264 განკარგულებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

დოკუმენტის შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტს ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა და პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფი (PMCG).

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.

გაანალიზებული პრობლემების საპასუხოდ, დოკუმენტში ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები შემდგომში ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირების, საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების საფუძველი.

დოკუმენტი იქმნება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით ადგილობრივი ხელისუფლების ხედვის, მოსახლეობისა და დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების ცხოვრებაში გატარებისთვის. იგი, როგორც წესი, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების კურსს მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

დოკუმენტის შექმნის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- სამუშაო და ტექნიკური ჯგუფის ფორმირება (პროცესის დაწყება)
- სიტუაციის ანალიზი
- სტრატეგიული ჩარჩოს განსაზღვრა
- სამოქმედო გეგმის შემუშავება და ბიუჯეტირება
- საჯარო კონსულტაციები
- დოკუმენტის დამტკიცება.

დოკუმენტის სტატუსიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მისი შექმნის პროცესში საზოგადოების ფართო ჩართულობის უზრუნველყოფა. გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტიიწვევს ყველას, მონაწილეობა მიიღონ გამოკითხვაში, რომლის შედეგად შეიქმნება დაინტერესებულ მხარეთა ბაზა.

ასევე მოგიწოდებთ, მომავალში აქტიურად ჩაერთოთ დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

ნახეთ ლინკი: https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSfxmNCH7R_0xezZ8wLKajPYyd4uV9MN8V0Uymqb17HEwKiDw/viewform?usp=sf_link&fbclid=IwAR3lGQYQHKBWoqrQVHjKzBmJLbbx6gyawcX7KSqe6WGvlqgO8d5s_5vr4Zg

ლენტეხის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გასული წელი შეაჯამეს

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა გასული წელი შეაჯამეს და 2024 წლის გეგმებზე და პრიორიტეტებზე ისაუბრეს

სახელმწიფო რწმუნებულმა, პაპუნა მარგველიძემ და მაჟორიტარმა დეპუტატმა- გოჩა ენუქიძემ ლენტეხში გაფართოებული სამუშაო თათბირი გამართეს, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები, მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, სამსახურის უფროსები და ააიპ-ების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.
თათბირის დასაწყისში ხელისუფლების წარმომადგენლებმა დამსწრეებს ის მნიშვნელოვანი სიახლეები გააცნეს, რომელიც ბოლო პერიოდში რეგიონში სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდა, შეაჯამეს გასული წლის მიღწევები და იმსჯელეს სამომავლოდ გასატარებელ ღონისძიებებზე.
თათბირზე აგრეთვე განიხილეს ლენტეხის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა და შეაფასეს ამ მხრივ არსებული მდგომარეობა.
სამსახურების უფროსების მხრიდან კი მოისმინეს ინფორმაცია სფეროების მიხედვით აქტუალურ საკითხებზე. მათ შორის საუბარი შეეხო, ჯანდაცვის, განათლების , კულტურის, სოციალურ და სხვა მიმართულებებს.
განსაკუთრებული ყურადღება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2024“- ზე გამახვილდა, რომლის ფარგლებშიც პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით, ტრადიციულად, მოსახლეობასთან შეხვედრები წარიმართება.
აგრეთვე იმსჯელეს სოფლებში სხვადასხვა მიმართულებით არსებულ მდგომარეობასა და იმ საჭიროებებზე, რომლებიც შესაბამისი სამსახურების ჩართულობას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის შეხვედრები რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში კვლავ გაგრძელდება, რაც მნიშვნელოვანია სამუშაო პროცესის ეფექტიანობის გაზრდის კუთხით.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში კულტურის სახლის სრული სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულების ეტაპზეა

პროექტის ფარგლებში მოეწყო სცენა-გახმოვანება და მონტაჟი, ჩატარდა ელექტრო მონტაჟის, წყალმომარაგების, ცეცხლდაცვის, კანალიზაციისა და გათბობის სამუშაოები. სრულიად განახლდა ინვენტარი.

ხელშეკრულების ღირებულება 2143 403 ლარს შეადგენს. სამუშაოები შეასრულა შპს ,,ჯორჯიან ბილდინგ კომპანი''.
პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.
დასრულებული პროექტი რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, პაპუნა მარგველიძემ, მაჟორიტარ დეპუტატთან, გოჩა ენუქიძესთან და ლენტეხის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა.

ლენტეხში სპორტკომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ახალი ეკონომიკური აქტივობისა და ახალგაზრდების სტიმულირების მიზნით, ლენტეხის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.
ამ ეტაპზე ხორციელდება სპორტკომპლექსის სარეაბილიტაციო (გადახურვის) სამუშაოები.
სამუშაოებს შ.პ.ს ,,აბსოლუტ-პლუსი'' ასრულებს, რომლის სახელშეკრულებლო ღირებულება 145,350 ლარია, პროექტი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ დაიწყო!

2024 „სოფლის მხარდაჭერის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ლენტეხის მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრულია 604 000 ლარი.

შეგახსენებთ, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა მოხდება დასახლების საერთო კრებებზე. სამწუხაროდ, დიდთოვლიანობამ კრებების განრიგი შეცვალა და თებერვლის ბოლოსკენ გადაიწია.
მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ თითოეულ საპროექტო წინადადებაზე, შესაბამისი სოფლის დასახლების საერთო კრებაზე, ჩატარდება ღია კენჭისყრა და შეირჩევა ხმების უმრავლესობით უპირატესი პროექტი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ და დასახლების საერთო კრებაზე დასწრების დროს იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, კრებაზე რეგისტრაციის მიზნით.
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების კატეგორიები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით:

- სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის, ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);
- სარწყავი სისტემები;
- სანიაღვრე არხები;
- ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- გზები და გზისპირა მოსაცდელები, აგრეთვე ტროტუარები და გზის შემადგენელი სხვა ინფრასტრუქტურა;
- ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;
- გარე განათება;
- სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;
- სასაფლაოების შემოღობვა და კეთილმოწყობა;
- სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;
- სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით;
- წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და დამისამართების შესაბამისად, შესაბამისი ნიშნების, აგრეთვე ტურისტული ადგილების მიმანიშნებელი ნიშნების განთავსება;
- მინიჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა.



სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირები არიან:
1) **ზვიადი ლობჟანიძე** - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,

მობილურის N 577 00 95 92

ელ.ფოსტა zviadilobzhanidze750@gmail.com

2) **სოზარ ბენდელიანი** - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

მობილურის N 599 85 27 04

ელ. ფოსტა sozarbendeliani@gmail.com

3) **ლევანი ლიპარტელიანი** - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურისა სამსახურის უფროსი,

მობილურის N 595 08 51 00

ელ. ფოსტა: lentexisinfrastruqtura@gmail.com

4) **ლაშა ბენდელიანი** - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი

მობილურის N 595 08 52 29

ელ.ფოსტა lentexisinfrastruqtura@gmail.com

ლენტეხის თემში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა

ლენტეხის მუნიციპალიტეტში "სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევის მიზნით, მოსახლეობასთან შეხვედრები ლენტეხის თემში დაიწყო.
შერჩეული პრიორიტეტები ,,სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.
ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი, მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ლასკადურის, კახურის, გულიდის, მელურის და ლექსურის სოფლის მოსახლეობას შეხვდა და პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები განიხილეს.
ადგილობრივების უშუალო ჩართულობით გამოვლინდა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- სოფ. გულიდა - გარე განათების მოწყობა
- სოფ. კახურა - გარე განათების მოწყობა
- სოფ. ლასკადურა - სასაფლაოების შემოღობვა
- სოფ. მელურა - სკვერის კეთილმოწყობა
- სოფ. ლექსურა - სამეურნეო დანიშნულების გზის მოწყობა

შეგახსენებთ, რომ კონსულტაციები 27 თებერვალს დაიწყო და ეტაპობრივად ყველა სოფელს მოიცავს.

პიკანტური ისტორიები

ძვირფასო მკითხველო, თქვენთვის ახალი რუბრიკა გვაქვს - „პიკანტური ისტორიები". დარწმუნებული ვართ, მოგეწონებათ და ყოველ ნომერს გულისფანცქალით დაელოდებით.

ნაშვილები

ირაკლი აბულაძე

ეს რა გაიგონა მისმა ყურებმა!

თითქოს მეხი დაეცა და... იმ ადგილზე, სადაც გული ჰქონდა, უზარმაზარი სიცარიელე გააჩინა — სახლის საძირკვლისათვის ამოთხრილ ორმოსებრ.

მესამე დღეა, ჭიქა წყალიც არ დაუღევია. ვერც იძინებს, ვერც რეალობას სწყდება. გარე სამყარო თითქოს მინის კედლის მიღმა დარჩა: ხედავს და ვერ გრძნობს, ხედავს და ვერ გრძნობს.

— თამრიკო, წამო, ბათუმში წავიდეთ, ორი-სამი დღით წავიყვანოთ ბავშვები! — მინის კედლის მიღმა შემოესმა ავთოს ხმა.

ვერც კი შენიშნა ქმრის უძილო, შეშუპებული თვალები, არც მისი განსაკუთრებული ყურადღება ეუცნაურა.

უკვე ავთოსაც კი აღარ ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა!

— თუ გინდა, თეატრში წავიდეთ ამაღამ. თორნიკეს გაუხარდება, მისი ახალი სპექტაკლი ამდენი ხანი ვერ ნახე. — ახლა მეორე აზრი შემოაპარა ქმარმა.

— დამანებე თავი! — მშრალად უპასუხა და კედლისკენ გადაბრუნდა.

— ლელა წურწუმია ჩამოსულაო...

— ეე!.. — ავთომ სხვა ვერაფერი მოიფიქრა და მაგიდაზე დადებული საათი ხელში უხერხულად აათამაშა, მერე ისევ ცოლისკენ დაიხარა,—თამრი!.. გამეიხედე, გოგო, აქეთ! ასე არ შეიძლება. ხო არ გადაყვები ახლა მაგ ამბავს. ადე, სირცხვილია! ბოვშები დეიზაფრენ, მამუჩია ტირის, დედიკოსთან მინდაო. ვეღარ აკავებს ბებიამისი. გესმის!..

თამრიკომ ქმრის ხელი ცივად მოიშორა და არც შემობრუნებულა, ისე, სულ სხვა ქალის ხმით გადმოუგდო:

— მე თამრიკო ქუთათელაძე არა ვარ, და, საერთოდ, არავინ არა ვარ. ყველამ დამანებეთ თავი!

— უუჰ!.. — ამოიხვნეშა ავთომ, ერთხანს კიდევ უყურებდა, მერე მძიმე ნაბიჯებით გავიდა.

კარის დახურვამდე, ოთახში დედამთილის მოგუდული ხმაც შემოსრიალდა:

— რა გითხრა?

ოთახში სიჩუმემ რომ დაისადგურა, თამრიკომ თითქოს ოდნავ შვება იგრძნო. საწოლიდან წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. უაზროდ უყურებდა, როგორ მიდი-მოდიოდა „კეჩის" ბაზრობიდან გამოსული ხალხი ქუჩაში, როგორ უსტვენდა გზის პირას გაჩერებული მანქანის მძღოლს პოლიციელი, როგორ მიქროდნენ ჭავჭავაძის პროსპექტზე დიდი ტრაილერები, პატარა „მარშრუტკები", ავტობუსები...

ყველაფერს ხედავდა და ამჩნევდა, ოღონდ, ამ საგნებს, რატომღაც, მხოლოდ ფორმა ჰქონდა, ფორმა და მეტი არაფერი.

თამრიკოსთვის თითქოს უკვე ყველანაირ ფერს შეეწყვიტა სუნთქვა და სამყარო მხოლოდ შავ და თეთრ ლაქებად გადაქცეულიყო.

ძალიან არ უნდოდა იმ ამბის გახსენება, ამაოდ ცდილობდა, მეხსიერებიდან ამოეგდო ის დღე, მაგრამ, ფანჯრის რაფაზე ნიკაპჩამოდებულს, ისევ თავიდან ბოლომდე გაუცოცხლდა ყველა დეტალი და ყველა ნიუანსი.

II

იმ დღეს ოფისებში პირველად ჩამოატარა დედამთილის გამომცხვარი ხაჭაპურები. ლამაზ კალათას კოხტად ჰქონდა გადაფარებული გატკიცინებული ტილო, თავადაც სუფთად ეცვა და სანდომიანი ახალგაზრდა ქალი რომ შენიშნეს, რომელსაც არც გაშავებული წინსაფარი ჰქონდა მუცელზე აკრული და არც ქუსლებდახეთქილი ჭუჭყიანი ფეხები მოუჩანდა ჩაკეცილი ჩუსტებიდან,—ხაჭაპურის ყიდვა მართლაც ბევრმა მოიწადინა. კალათა უცებ დაიცალა.

პირველი დღე იყო და ღელავდა თამრიკო. ხან ხურდის დაბრუნება შეეშალა, ხან ჩანგალზე წამოცმული ხაჭაპური ისევ კალათაში ჩაუვარდა. თავს საშინლად გაქელილად და დამცირებულად გრძნობდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელში აგდებულად მიაჩეჩებდნენ ლარიანებს და მუშტრის თვალით იცქირებოდნენ კალათაში. „მათთვის" მხოლოდ ხაჭაპურის გამყიდველი იყო, ვიღაც ქალი, რომლის არსებობასაც სულ მალე დაივიწყებდნენ, ამ პატარა, გემრიელ ხაჭაპურებთან ერთად უცებ მოინელებდნენ.

ყველაზე მეტად იმაზე ნერვიულობდა, ნაცნობს არავის შეფეთებოდა. ხომ შეიძლებოდა, მერიაში შეხვედროდა ვინმე, საჩივარზე შემოსული, ან, თუნდაც, საგადასახადოში, კონტროლის პალატაში... ათას საქმეზე დადის ხალხი, სად არ დაწოწიალობს; იქნებ, თამრიკოსაც შემოჰყოროდა მისი თანამშრომელი, მეზობელი, ნათესავი, უბრალო ნაცნობი...

გაგრძელება მომდევნო ნომერში

კროსვორდი





შეადგინა ალეკო ნემსაძემ

1. ... ... **2.** ... ... **3.** ... ... **4.** ... ... **5.** ... ... **6.** ... ... **7.** ... ... **8.** ... ... **9.** ... ... **10.** ... ... **11.** ... ...

Bn

თარაზულად: 3. რა არის მტკვარი? 5. ცურვის ერთ-ერთი სტილი. 6. ბედი, იღბალი. 8. მომღერალი ვანესა... 9. ქალაქი საქართველოში. 11. მდინარე ახლო აღმოსავლეთში.

შვეულად: 1. ... შარტავა. 2. ძველი ჩინელი ფილოსოფოსი .. ცზი. 3. ქალაქი და პორტი საფრანგეთში. 4. ქვეყანა აფრიკაში. 7. სანიაველი. 10. მარსის თანამგზავრთა რაოდენობა.

იცით თუ არა, რომ...

იცით თუ არა, რომ საქართველოში და ევროკავშირში ერთი და იგივე გადაუდებელი დახმარების ნომერი გამოიყენება?

ასე რომ, თუ საქართველოში იმყოფებით, ან ევროკავშირში მოგზაურობთ და დახმარება გჭირდებათ, არ დაგავიწყდეთ აკრიფოთ 112.

ჩვენი ენა ქართული

უცხოური ტერმინოლოგიიდან

ტაპიოკა — მანიოკის ფესვებიდან მიღებული სახამებლისაგან დამზადებული ბურღოული.

ტარანტული — დიდი შხამიანი ობობა, ცხოვრობს მიწაში.

ტემპერა — საღებავები, რომლებშიც შერეულია კვერცხის გული, ანდა წებოსა და ზეთის ხსნარი.

დიორამა — გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი, რომელიც საგანგებოდ განათების შედეგად გვეჩვენება მოცულობის მქონედ.

დიპლოკოკები — ბურთულისებრი ბაქტერიები, რომლებიც წყვილ-წყვილად არიან განლაგებული.

დისკანტი — მაღალი ხმა ბავშვისა

დისკრიმინაცია ლათინური ტერმინია (discriminatio), ქართულად აღნიშნავს განსხვავებას. თანამედროვე ქართულში დისკრიმინაცია ფართო შინაარსის მომცველია. ეს არის განსაზღვრული კატეგორიის მოქალაქეებისათვის, ორგანიზაციებისათვის ან სახელმწიფოებისათვის იმ უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა, რომლებითაც სხვა მოქალაქეები, საზოგადოებები ან სახელმწიფოები სარგებლობენ.

პოლიტიკური დისკრიმინაციის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა საარჩევნო უფლების ჩამორთმევა, ხოლო რასობრივი დისკრიმინაცია ელემენტარული მოქალაქეობრივი უფლებების შეზღუდვას ნიშნავს.

სულხან-საბას მარგალიტები

იშხვარი — ფრინველი, შავი ლაკლაკი.
იჩქითი — მყისი.
იწყლა — წყლულ იქმნა, დაიკოდა.
იჯმნა — ხელი აიღო.
იჯრა — ერთი საჯერო ჭამადი.
ეარი — გაზაფხული

როგორ ვწერთ და ვმეტყველებთ

სწორია	არასწორია
უთქვამს	~~უთქვია~~
ღვეზელი	~~ღვეძელი~~
მღვიმე	~~ღვიმე~~
ღვაწლმოსილი	~~ღვაწლშემოსილი~~
ნთქავს	~~ინთქავს~~
თხუთმეტი	~~ხუთმეტი~~
სატირული	~~სატირიკული~~
სატკეპნი	~~სატკეპნელი~~

ლენტეხი news
ქიმერიონი qimerioni

მთავარი რედაქტორი: გულიზა (ნატო) გუბელაძე • **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი • **მისამართი:** ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. №16/12. • **599 10 77 94** • nato2727@gmail.com

გამომცემელი: შპს „ქიმერიონი"; კომპანიამ ტენდერში გამარჯვების გზით მოიპოვა ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის ყოველთვიური საზოგადოებრივი გაზეთის გამოშვების უფლება (საგაზეთო მასალების მომზადება, ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება). ხელშეკრულება №21 (12.02.2024).